

სევის-მოწედა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში
მოქმედის ქუჩასზე, შაოვეის სასტუმროს მე-
მოდ, სასლი № 5.

ქუთაისს, ახვან ღორთქიფანიძის ბაბლი-
ოთქაში.

განცხადება მიღება ქართულსა და რუსულს
ენებზედ.



«ივერიის» ფასი

ერთი წლისა ვაგზავნი 7 მ. —
სახვარის წლისა 3მ.50კ.
თითო ნომერი 15კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწო-
რებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ
წერილებს.

ს ა ზ ო ლ ი ტ ი კ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა ზ ე თ ი .
გამოდის ხუთშაბათობით

საძიებელი: I. საქართველოს მატანიე. კორრესპონდენცია
«დროებიდამ» ქობულეთის წერილი. — II. მოკლე შენიშვნები
ამზღვარ განკეთილად, (ტფილისიდი კრავოვადის). — III. სა-
პოლიტიკო მიმოხილვა. — IV. რუსეთი. — V. სასანიდების
სამეფო სასლი სპარსეთში და ქრისტეს აღსარება სომხით-
ში. — VI. რამეთუ ვატი ვარ, (ისტორიული რომანი გეორგ
ებერსისა).

საქართველოს მატანიე

„ივერიის“ მე-31 №-ში იყო მოყვანილი ერთი
ქობულეთის წერილი დროებიდამ გადმოხედა-
ლი ახმედ აღა კავაჩიშვილისა. დროების კიდევ
ქორე წერილი მოსვლია იმავე ქობულეთელისა-
გან, რომელიც შირველ წერილზე ნაკლები ყურა-
დების ღირსი არ არის, ამისათვის გვსურს ეს წე-
რილიც გავაგონოთ ჩვენის გაზეთის მკითხველებს. აი ეს
წერილი:

ძიავ ყარღაში ეფელუმი მეგაზეთეე!

შეიძლება, რომ ეს მეორე ჩემი წერილი მიიღოთ
და გაზეთში ჩაწერთ ადრე: რაგან სული გვიწებს,
ისე გვეჩქარება; ეგება დიდი ვატი წაიკითხავს და ყუ-
რადლებას მიაჩქევს.

ყარღაში ეფენდი! ჩვენი ქობულეთის ხალხი შე-
წუხებული არის იმიზედა, რომ ზოგიერთი მცხოვ-
რები ახლა ემშვიდობება თავის ქვეყანას და იმიზეს
რომ ჩვენ სიცოცხლეს არა აქ სახელი, ჩვენი
ხარი, ძროხა, ცხენი, საჭმელი, ზური გაფუჭებულია
და მიაჩქან.

დევნიშ-ფაშამ გამოგვიცხადა, რომ რუსეთის
არჩია ქობულეთი და ბაილადია, თქვენ წამოადით
კენი ხარჯითო. მადის ზოგიერთი შირველი.

წამსვლელები უნჩვენ დაწარჩენს წამოადითა;
მაგრამ ზოგები ვარ. მიდინ და ფიქრობენ, რომ
ძიავ მადის და ვიღან გვაჭმესო ჩვენო, ზოგი
ლუთფისი (ჩინის-კაცი) ვართო, ნიშანი (არღენი)
გვაჭმესო, ჰვტია გვაჭმესო. ახლა რა ვქნათო! ადულებუ-
ლი არიან.

ათხი კაცი სუფ-უბნის გამანდართან (პოლკავნი-
კია) გავზავნეს, რამოდენის საქმის მოსაღაწაწაგებულად
და მან მისწერა მის უფრასს. ვნახათ—რა ზასუხი
გამოვა იმისი.

გარდა ჩიან (ამბობენ) ქვეყანა, რომე გავგვიცა-
ნია, რომ სხი წელის წინეთ ჩვენი ბატონი თავდგი-
რიძეს გარდა გურიელი იყო და საქართველოს დიდი
ფაშაო. გამოგვიცხადისო თავადს ლევან გუ-
რიელს და მძას მისო გირგოლი გურიელისო და
ნუგეშანს გვეტყუადესო, რადგან ძველი ნაბატონკვი
არისო, ჩვენ დაუჯერებთო იმისო. დებრთმა ქნას უფ-
რასათ გირგოლი დაგვენიშნადესო.

ძიავ მეგაზეთეე! 156 ნუმერში მიგიღიათ ჩემი
თხოვნა და გაზეთას მიგზავნით. მადლობელი ვარ,
ბატონო.

ესეც თქვენ შემისწორეთ, კარქი თქვენ დასმინეთ
რაცხა და დამიბეჭდეთ.

გამოგვიგართ ოსმაღლისი სელიდან. ვნახათ თქვე-
ნი მეზობლობა რაგანია!...

ახმედ-ალა კაიკაცის შვილი.

ქობულეთი, 8 აგვისტოს.

13051

მოკლე ზინიზინები სამზღვარ ბარათილად

(შედეგი *)

II

კრაკოვი. 9—13 ივნისს.

ახა ერთი ჩვენს ჭკუა-გონებას ძალა დავატანთ და წარმოვიდგინოთ: შუა ქალაქში ამაღლებული ადგილი, შემორტყმული მღვდლის კედლი; გვანისის ზოგიერთ ადგილს თითქმის ჩვენებური კომპები; შიგნიდან გვანისის კედლებზე ორი მიშენებული სახლია ჯარისათვის; ამ სახლებზე ასლად საშინელი, ერთი უზარ-მარცხი მღვდელი, გრძელი და ვიწრო თლილის ქვით ნაშენი ეკლესია მღვდელთა ვიწრო გუმბათით; ამ ეკლესიაში ანუ სობორში ზოღშელების თითქმის ყველა შემწიფების და გამოჩენილის გაცემის ერთნაირი მარცხილას ჭეის-გან მშენივრათ გაკეთებული, გამთლილი სახლები; ეკლესიის ქვეშ აკლდამები; ეკლესიის საკვირველი ძვირფასი მამართულობა. ცისკვ გარეთ ცოტა მოშორებით ორი კედელი სსკა ძველი სობორი გრძელი, ვიწრო და მღვდელი, — ვიწრო გუმბათით, მღვდლის და ვიწრო სახითურებით; შიგ სობორებში — ეკლესიებში სვეტები და ვიწრო თაღები; ამ ეკლესიების გვერდზე ვიწრო ქუჩები და ზედი-ზედ მიტყუებული მღვდელი სახლები, სიძველის გამომცოტა თითქმის შემორტყმული: ადგილ-ადგილ მღვდელი უზარფო სვეტის ბაღები; კედელი ეკლესიები თითქმის ოც-და-ათამდინ სულ ერთნაირათ ნაშენნი; ადგილ-სავლეთის მხრისკენ ერთი დიდი მშენიერი ბაღი, სადაც ადამიანების სასსკვარი სდგას; ამ ბაღს ასლად-მანდო, უფრო ადამიანების მხრისკენ ახალი სახლები განიერის ქუჩებით; — ყველა ეს რომ წარმოვიდგინოთ, მარცხი თვალწინ გვქმნება კრკოვის სურათი. ეს ქალაქი ერთ დროს დედა ქალაქი იყო ზოღშის სახელმწიფოსი და ამისათვის აქ ჭებდავთ დიდს და მღვდელ გოთურის შენობის ეკლესიებს, ქარხნების ადგილებს და მრავალ შენახიზნავს შენობებს. გარდა ამისა, კრკოვი, როგორც მკითხველი ჭებდავს, სურულებით საშუალო საუკუნეების ქალაქია. აქ მეფობის დროს მგზავს ჭკონია მცხრდა-მეტე საუკუნეიდამ მეოთხმეტე საუკუნეში დავიწიერ, მხოლოდთ სასტუმროში ბიჭების მხვრად-მოხვრად და სასტუმრები აგონებენ, რომ ის ისევ მცხრდა-მეტე საუ-

*) «ივერია» № 31. 1878 წ.

კუნეში ჭსწროვრობს და უკან ერთი ნაბიჯიც არ გადუდგას.

ახლა მივუბრუნდეთ კრკოვის მცხოვრებლების განხილვას. აქ მგზავს ძირეულ მარცხი აგებულება უნდა ჭქონდეს, რომ შენობის დროს სიცილიტ გულ-ღვიძლი არ ამოიგდებინოს. ქალაქის ძველ ნაწილში იყოს როგორც გადსდგამთ, რომ ურთების ქალებმა დამტკრეულ და დახინრებულ ნემეტურ ენაზე არ გითხრან: „რა გინდათ? ჩვენთან იყიდეთ, ჩვენ სულ ყველაფერი გვაქვს და იაფათაც ვყიდით; იქნება ჭკონია გინდათ, ანუ დანა, ჩითულებს?“ ერთის სიტყვით, ყველას სახლებს ჩამოჭყებინან, რაც ვი დუქანში უფაგიოთ. ამითვე ნაკლები არ არიან ამათი მამები, ძმები და ქმრები. კვირების ნძრვით და წვერების ცანცანით ესენიც იწვევენ რისამე მოსყიდვათ გამეღვას და გამომგვლას. მარცხი უფრო ის არის საცინელი, რომ აქ ხშირათ სედავთ ცამეტ-თოთხმეტის წლის ებრავს, რომელსაც სელში უჭირავს წვრილი ჯოხი, თავზე ასურავს მღვდელი შლახა — ცილინდრი, ტანზე აცვია მღვდლის კაბის მგზავსი სურთუგი და ისე მიტუნტულებს კვირების ქნავით. საზოგადოთ აქაური ებრავლება თავიანთ ჩანდა-დახურვით და ზატარა ტანდობით სასაცილონი არიან და ჭართვლას მგზავს აკვირებენ. მართლაც, იმ დროს, როდესაც საქართველოში ებრავნი წამოსადგობით და თამაობით, აგრეთვე ქართულის ენის ცოდნით ნაკლები არ არიან ქართველებზე. აქ ესენი შეადგენენ რაღაც ბაჭაჯღანს და წელში გახრდილს ხალხს, თუიქა ვი ამ ბოლოს დროს დიდი თავისუფლება მიუღიათ. ეჭვი არ არის, რომ ამ გვარნი აგებულობა და თავ-ტანდალობა აქაურის ურთების არის ცხადი ნიშანი იმისა, რომ აქ უწინ საცოდავებს დიდი გაჭირება სდგომიათ ქრისტიანებისაგან. ნუ იფიქრებ, მკითხველო, რომ კრკოვში მარტო ურთები სცხოვრობდნენ, — აქ, როგორც ზოღშის სახელმწიფოს ძველ დედა-ქალაქში, ზოღშელებიც ბევრნი არიან; მარცხი, მგონი, ურთების რიცხვი ვი უფრო ბევრია, მინამ ზოღიაკებისა, როგორც ჩვენ დედა ქალაქში თთილისში სომხების რიცხვი უფრო მეტია, მინამ თითონ ქართველებისა. ხშირათ სოფლიდამაც ჩამოღიან ჩოღვი კრკოვში დროებით საცხოვრებლათ ზოღშელი თავდა-ზნაურობა. ჩემს აქ ყოფნაში, ერთ საღამოს საზოგადო ბაღში შემხვანენ ოთხნი წამოსადგონი და მდიდრულათ მოართუნი ვაუკუნნი. ამათმა ტანისამოსმა

მიიზღვრა ჩემი უუკრადლება. მაჟდის კაბები უგან გადავღებულის სსხლებით, ტანზე კაბებს წყიოდ შემოვტყუდი ყაჩაღის სარტყლებით, განიერი შარვლები, ანაკის მალაყულაან წაღებში ჩაკვდალები, ხაკრდას ერთნაიჭის ფასანის ქუდეები, კაბებს ქვეშ ახალუხის მგზავსი ჩასცმელები ყველა ეს სწორეთ კახელას თავადის შვილის მორთულბას მოვარგებდა. უნდა გეტქინათ, თუ კივინიანი ურები როგორ დასდევდნენ თან და გაკვირვებით უტქეოდნენ ამ წამოსადეგ კაცებს. რაც შეეხება მალაზიებს კრავოში, მომეტებული ნაწილი ებრაელებისაა, მხოლოდ მცირე ნაწილი კი ზოლშელებისაა. როგორც გავიგო, ამ ზოლას დროს ხელა მიუყვანთ ზოლშელებს ვაჭრობისათვის და იმელოვნებენ, რომ მათი რიცხვი ძირეულ გამრავლდება.

ნუ იფიქრებ, მკითხველო, რომ კრავოვი იმ მხრით იყოს უფრო შესანიშნავი, რა მხრითაც ავწერე. ანა, როგორც კრავოვი და მისი მარხა, ისე მთელი გალიციის უფროსსკა მხრით არიან შესანიშნავნი და ან ამით აღწერას სხვა მხრით შეუდგები ქვემოთ.

III

კრავოვის მარხის და გალიციის ახლანდელი მდგომარეობა.

ავსტრიის სასკლმწიფოს სხვა და სხვა კუთხეებში 16 მილიონამდის სლავიანების ტომის ხალხნი ცხოვრობენ. გალიციელებს და კრავოველებს უჭირავთ კარმატის მთების ჩრდილოეთ-დასავლეთი გვერდი და მდინარის ვისლის სათაურის ღეღე. ეს მდებარეობს ნაჟიერი მდებარეობა და კრავოვის მარხაში, სხვათა შორის, მარლიც ბევრია. ბოსნიას და ველიჩკას მარლიის სამდიდრით დიდი სახელი აქვთ მთელს ევროპაში.

გალიციელები წარსულსავე საუგუნეში ზოლმის განაწილებას ღეღე-ღეღე დაფლეთის შემდეგ, ავსტრიის სასკლმწიფოს შეუერთეს. რაც შეეხება კრავოველებს, ამით 1846-სინ ქქონდათ ზატარა თავისუფალი სასკლმწიფო, მაგრამ ამ წელიწადში ბედის ჩარხი უგუღამ დაუტრიალდათ და შემდეგ აქ აჩურობისა აიღეს და ესეც სრულებით შეუერთეს ავსტრიას. ამ წელიწადიდან, როგორც გალიციელების, ისე კრავოველების ბედი სანატრელი არ იყო; მხოლოდ 1866-დამ ავსტრიის მთავრობა დაადგა მმართველობის გონივრულ გზას და მხ-

სენებულის სლავიანების უფლებებსაც მოემტა. ამ ყამად აი როგორია ამ ხალხის მდგომარეობა:

გალიცია და კრავოვი ერთს საგუბერნატორს შეადგენენ და უფროსად ჭეუთ იმპერატორისაგან დანიშნული გუბერნატორია. ეს არის ადმინისტრაციული მმართველი და წესიერების დამცველი მოსსენებულს მარხეში. მისს განცელებასში საქმეებს წარმოებენ ზოლშეებს ენაზე. თვითონ გუბერნატორთანაც ზოლშეურ ენაზე შეგუენ სოლმე ქადაღლით, და ამისათვის მხოლოდ ზოლშეურის მცოდნე ინიშნება გალიციაში და კრავოვი გუბერნატორათ. რაც შეეხება შინაურის საქმეების განგებას, მმართველობას, ამისათვის არსებობს აქ „ხალხის ურილობა“ (ceľmъ), რომელიც წელიწადში ერთხელ შეჭსდგება ღეღეში — გალიციის დედა ქალაქში. რადა ლანარავი უნდა, რომ ამ ყრილობაში მხოლოდ ზოლშეურ ენაზე შეიძლება ბასი და სგნების, საჭირო საქმის განმარტება — განგითარება. რადგანაც ყრილობა წელიწადში ერთხელ მოხდება სოლმე და მისს წევრებს არ შეუძლიანთ დიდხანს დარჩენენ ღეღეში, ამისთვის ეს ყრილობათვის მხრით ირჩევენ კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეს ნიშნავს იმპერატორი გალიციის ანუ კრავოვის მცხოვრებლებიდანვე ანუ ყრილობის წევრთაგანვე. ეს კომიტეტი ვადებულაა აღსრულებაში მოიყვანოს ყრილობის გადაწვეტლებანი და თავის მხრით წარუდგინოს ყრილობას თავისი მოსაზრებანი იმ სგნებზედ, რომლებიც წლის განმავლობაში გამოჩნდებიან. აი ეს კომიტეტი და გუბერნატორი განგებენ გალიციის და კრავოვის მარხის საქმეებს. ამით მიწერ-მოწერა და ბასი თავიანთ ყრილობაში აქვთ ზოლშეურ ენაზე. რაც შეეხება რეისტრატთან ანუ შინაურის საქმეების შინისტრატთან მიწერ-მოწერას, ეს კი ნემეტურ ენაზეა. გარდა ამისა, მთელი მახულები დაწვობილი სოფლას მამასხლისიდგან და მსაჯულებიდგან გუბერნატორის თავმოსკელებამდინ და ქალაქების მსაჯულებამდინ — სულ გალიციელები არიან. ბევრმა მათგანმა სრულებით არ იცის ნემეტური ენა. საქმე მარტო ამით არ თავდება. საჭიროა, რომ გალიციას და კრავოვის მარხის თავიანთ წარმომადგენლები ჭეუანდეთ ავსტრიის ყრილობაში — „რეისტრატში“ რომ რა არი აქ არ იუმბაგონ და მათი მარხეული საქმეები არ გადაწვიტონ. ამით კიდევაც ჭეუთ თავიანთი წარმომადგენლები „რეისტრატში“. ამ სამის წლის წინეთ გალიციის და კრავოვის

„საღმის ურჩობა“ თავის წევრთა შორის ირჩევდა სოფელ
 ოცდა თორმეტს კაცს და გზავნიდა ვენაში. ეს ჯი სხვა
 წესია. ეს ოცდათორმეტი კაცი უნდა ამოირჩიოს თვი-
 თონ საღმისა და არა თუ „ურჩობაში“. ეს საღმი წესი
 არაფრით ეპიტინავებთ აქაურ სლავიანებს. ერთ განათლე-
 ბულს კრავოკელს ვჭვითხე, თუ რატომ არ მოსწონთ სა-
 ლი წესდებულება შესასებ დეპუტატების ამოჩვენისა,
 როდესაც ეს უფრო საზოგადო კაცობრიულია, მინამ
 უწინდელი წესი? „კვ მართალია“ მითხრა ამ განათლე-
 ბულმა კაცმა, მაგრამ აი საქმი რაში მდგომარეობს. დიდი
 ხანი არ არის, რაც ჩვენ გიშეგნეთ და მოგვანიჭეს ზო-
 გიერთი პოლიტიკური უფლებანი, ამისთვის ჩვენ დეპუ-
 ტატებთან იმისთანა კაცები გვინდა, რომლებსაც შეეძ-
 ლათ ყოველ შემთხვევაში ამ უფლებისა და საზოგადოდ
 ჩვენის ქვეყნის საზოგადოების დაცვა. საღმ წესდებულე-
 ბით გი დეპუტატებში ებრავლებიც ბევრნი ერკვიან ანუ-
 ჭვებობან. ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ ებრავლებისა და
 ბევრს ამათგანს ყოველგვარს სამსახურში ვიჩვენებთ; მაგრამ
 ჩვენის ქვეყნის პოლიტიკურის უფლებებისა და საზოგადო-
 ლობის დაცვის მიხედვით გარდაცემს მათთვის გვირითი-
 რება და გვაშინებს. აი ამ პოლიტიკურ მოსაზრების
 გამო არაფრით გეპიტინავება საღმი წესდებულება დეპუ-
 ტატების ამოჩვენის შესახებ.“

— სლავიანები ხომ უმრავლესნი ხართ და შეგიძ-
 ლიანთ ყოველთვის თქვენი კაცები ირჩივით დეპუტატ-
 ტებთან, ვუთხარი მე კრავოკელს და აი რა პასუხი მომცა
 ამასვე.

— ზოგიერთ ადგილებში უმეტესად ქალაქებში,
 ებრავლების რიცხვი უმრავლესია და ამისთანავეც გაიძუ-
 რა საღმისა და ყოველთვის მოახერხებენ თითქმის ბევრი
 პოლიტიკებიც მიიხრან და თავიანთი კაცები ამოირჩიონ.
 სრულყოფით სხვა საქმეა, როცა საღმის „ურჩობა“ ირჩევს.
 აქ ურჩები ჯერეთ ბევრნი არ არიან და ამისთანავე „ადი-
 ტაცია“ როგორც სიტყვიერი, ისე ლიტერატურულიც
 ღირსეულის კაცების სასარგებლოთ შესაძლებელია.

— თუ აგრე არ მოგწონთ და მანებელია თქვენ-
 თვის საღმი წესდებულება, მაშ როგორ მოხდა, რომ
 რეისტრადმა“ ავსტრიის საზოგადო ურჩობაში თქვენი
 სურვილის წინააღმდეგ მაგვარა წესდებულება მიიღო იმ
 დროს, როდესაც მარტო ავსტრიაშია, რომ კერძოებლების
 ქვეყნაც არ ჩვეთვალთ, სლავიანების რიცხვი უფრო

ბევრია, მინამ ნემცებისა და, მაშასადამე, რეისტრადში
 თქვენის დეპუტატების რიცხვიც ბევრი უნდა იყოს? კვი-
 თხე კიდევ განათლებულ კრავოკელს.

— მე თვითონ გვრძნობდი, რომ მაგას მკითხავდით
 და აი მაგისი სრულყოფით უბრალო პასუხი, მითხრა მე
 იმან და განაგრძელა: თქვენ ამბობთ, რომ ავსტრიაში
 სლავიანების რიცხვი ბევრია. ეგ მართალია. წიგნებში
 ბევრგან წიგითხვით, რომ ავსტრო-ვენგრიაში 16 მი-
 ლიონამდისინ სლავიანები ჭსტხვარობენ; მაგრამ საქმი
 იმაშია, რომ ამ სლავიანებში ბევრი იმისთანა სლავიანე-
 ბიც ურკვიან, რომლებშიც სლავიანური აღარაფერი დარ-
 ჩენილა. მსწავლეულების ახრით შტირიაში და კარინთია-
 ში სლავიანები ჭსტხვარობენ, მაგრამ საღმ რა იმათ-
 ში სლავიანური? გარდა ამისა, საღმ სლავიანები ჭსტხვარ-
 ბობენ, იქ სხვა ჯერის საღმისც სტხვარობს და დეპუ-
 ტატებთან მათ კაცებსაც ირჩევენ; ასე რომ სწორათ სლავი-
 ვიანების დედამამულიად დეპუტატებთან მიბძანდებიან
 სოფელ ვენაში ნემცები. ყველა ამას უნდა დაუმატოთ შესა-
 ნიშნავი ამბავი: როგორც იცით, ჩხელები დაწინაურებული
 საღმის ჩვენ სლავიანობაში და სლავიანების წინამორბე-
 დათაც ჭსტვლიან თავიანთ თავს. ამათ ამ ოთხის წლის
 წინეთ, თუ მუხსიერება არ მღალატობს, ჭსტხვარებს იმპე-
 რატორს, რომ მათთვის მიეცა ნება ჭქონდათ საკუთარი
 რეისტრადი და სამინისტროები, ერთის სიტყვიით, იგივე
 უფლებანი, რა უფლებანიც გი აქვთ ვენგრიელებს. იმპე-
 რატორმა არ დააკმაყოფილა მათი თხოვნა და ჯობრზე
 თავიანთ დეპუტატებს ავსტრიის „რეისტრადში“ საზო-
 გადო ურჩობაში დადგ გზავნიან. ნემცებსაც ეგ უნდა-
 დათ, რადგანაც ჩხელებიდან დეპუტატები აღარ მოდიან
 „სახელმწიფო ურჩობაში“, ამისთვის სლავიანების დეპუ-
 ტატების რიცხვი უფრო კიდევ მცირეა და ნემცებს რო-
 გორც ჭსურთ, ისე იქვეიან. აი როცა რეისტრადში ლაზი-
 რავი იყო დეპუტატთ ამოჩვენის წესდებულება ჩვენ მხა-
 რეში, ჩვენი დეპუტატები, რომლების რიცხვი იმ უმათ
 ორმოცდა თორმეტი იყო, წინააღმდეგნი გახდნენ, მაგრამ
 კვარა გაწეეს რა. ან რას გაწეობდნენ?... ჯერ ხომ ჩხე-
 ლებიდან დეპუტატები არ იყვნენ: ამას გარდა, სხვა სლავი-
 ვიანების დეპუტატების რიცხვიც მაგდენი არაფერი იყო
 და ამ მიზეზის გამო გამარჯვებული დარჩნენ ნემცები
 და „რეისტრადმა“ გამოსცა შემოხსენებული წესდებუ-
 ლება. ამ უმათ „რეისტრადში“ ნემცების პარტია ძლიე-

რის და ეს გარემოება ჩვენ სლავიანებს გვეჩინოვება, ქსთქვა ბოლას ჩემმა მემუსაიოვმა და ამი ა გავათავოთ კიდევ ლაზარაკი ერთმანეთთან.

აი ამგვარ პოლიტიკურ გარემოებაში არიან გალიციის და კრაკოვის მარხის მტხროვებნი.—ასლად დროს შეუდგეთ მათის განათლების განცხადებას.



მეტნიერების და სლავის განათლების გასაგრძელებლათ მოხსენებულ ადგილებში არის ორი უნივერსიტეტი, ერთი კრაკოვში და მეორე ლემბერგში, — სამეტნიერო აკადემია (აკადემია ნაუბი) კრაკოვში, რამდენიმე სასტატო სემინარია— ორი ამთავანი თვით კრაკოვში, გიმნაზიები, როგორც ქალებისთვის, ისე ვაჟებისთვის, სამხედრო სასწავლებლები ერთი თვით კრაკოვში, სასულიერო სასწავლებლები და სოფლის სასწავლებლები. სამხედრო გიმნაზიების გარდა, ყველა სასწავლებელში მეტნიერებს ასწავლიან მარტო პოლშურს ენაზე; არც ერთს სვანს არ ასწავლიან სასკოლო ე. ი. ნემეცურ ენაზე. ერთის სიტყვით პოლშური ენა არის საზოგადო ენად მიღებული და ამ ენაზე აგრძელებენ მეტნიერებს და განათლებას. რაც შეეხება ნემეცურს ენას, ამას ერთ-კლასიან სასწავლებლებში სრულებით არ ასწავლიან; მასთანადე ერთ-კლასიან და ორ-კლასიან სასოფლო სასწავლებლებში ამისი ხსენება სრულებით არ არის. მხოლოდ ამის სწავლას იწეობენ სამ-კლასიან სასწავლებელში, — ანუ მესამე კლასიდან, — ერთი, სიტყვით იმ კლასიდან, სადაც ბავშვები სრულებით დასკოვნილებულნი არიან თავიანთ დედადის ენის ცოდნაში. ამ ენისთვის კვირაში სულ ეკვეთილზე მეტი თითქმის არც ერთს სასწავლებელში არ არის. რაც შეეხება ფრანგულას ენის სწავლას, ამას დიდ კლასებში ასწავლიან და ამის შესასწავლად კვირაში სამი გაკვეთილი დადებული თითქმის ყველა სასწავლებელში, ასე რომ ნემეცურის ენისთვის უფრო ბევრი გაკვეთილება მიღებული, მინამ ფრანგულის უნისთვის. რადგანაც აქურს სასწავლებლებს ამგვარი მოწყობალობა აქვს და ამას ითხოვს თვით პოლიტიკური მდგომარეობაც, ამისთვის მასწავლებლები სულ დიდდამ პატარადინ დახელოვნილებულნი არიან პოლშურს ენაში. მათი უმეტესი ნაწილი ეკუთვნის სლავიანთა გვარობას.

მე არ მსურს, რომ მეითხველს ჭკუა-გონებაში იჭინეულობა რამ დარჩეს შესახებ ჩემგან ნაამბობისა და ამისათვის დავასხელებ და გავერთ კიდევაც ავწერ იმ სასწავლებლებს, რომლებიც თვითონ ჩემის თვალთ ვნახე და რომლების უფროსებთან ლაზარაკი მქონდა.

ჩემ კრაკოვში მე აუფობის დროს, საათის პირველს გავსწიე აქურის სასტატო სასწავლებლების გასასინჯვათ და პირ-და-პირ მივედი ჯერეთ კაცების სასწავლებელში. ჩემდა სამწუხაროთ, აქ სწავლას მოჩხენდნენ და შეგიძლები თავ-თავიანთ სასლებში მიდიოდნენ. მე მანინც დირექტორი ვნახე და ვსთხოვე, რომ მას ჩემთვის კლასები ეჩვენებინა. ჩემმა თხოვნამ ეს კაცი ცოტა არ იყოს ჩაფიქრა და რამდენიმე წამის შემდეგ მითხრა: „დიდის სიამოვნებით, მაგრამ ესლას სწავლას არ არის და ცარიელის კლასების ნახვას რა სასიამოვნო იქნება თქვენთვის; მანინც წამოდით“. პირველათ შევედი მოსამზადებულ კლასში. უბრალო სტოლებმა, მაგრამ ასლად სისტემაზე გაკეთებულებმა, მშვენიერმა დიდმა, დედალათ ასწვევ დასწვევმა ფიცარმა, დაკვირვებითის სწავლისათვის სხვა და სხვა სურათებმა, მასწავლებლისათვის კომპია კათოდრამა, კრაკოვის გემამ (პლანმა), მთელის კრაკოვის მარხის და გალიციის დიდმა რუკამა, ყველა ამან მიიხურა ჩემი უურადება და ბოლას დროს ვკითხე უფ. დირექტორს: ყველა კლასები ასე გაქვთ მოწყობილი, თუ არა?

— სულ აგრეთა. ჯერეთ სალათ ვეწეობით და ბევრი რამ კიდევ გვაკლიათ.

სხვა კლასებიც რომ გავემინჯე, შევატყე, რომ უფ. დირექტორს ეჩქარებოდა სასლში, გავერთ ვითს კიდევ რამდენიმე საგანი, და იმან ვითხვანედ ეს მომიგო: „ეს სასწავლებელი შესდგება სულ რვა კლასადგან, ოთხი სასტატო სემინარია და ოთხი კიდევ დაბალი კლასებია. ამ ყვამათ აქ სწავლობენ ორასზე მეტი მოწათენი. მეტნიერებს ვასწავლით პოლშურს ენაზე; ნემეცურს ენას ვიწეობთ მხოლოთ მესამე კლასიდან.“

ეს შესუნება რომ მივიღე, მადლობა გადაუხადე დამოკეთსოვე. აქედამ ქალების სასტატო სემინარია გავემინდი. მე თან მომდევდა ერთი ჩემი ნაცნობი რუსი რომელსაც უჭირდებოდა წარმოედგინა, რომ ავსტრიის სასკოლოში ამ გვარი წესებისა და გზაში ამისი რად, რომ ის დირექტორი, რომელსაც შენ ელაზარაკობდა

ნემეტეა და ეს ასეც უნდა იყოს, დირექტორებთან მანინტ ნემეტეები იქმნებოან აქაურს სსწავლებლებში.

ეს კაცი რომ გერაფრით ვერ დაგვაჯერე, ბოლოს გუთხარა: აი ესაა მივალთ ქალების სასწავლებელში და იქ უთუთო შენთან გვითხვო იქაურს დირექტორს და იმის-გან შეგვიძლიან ნამდვილი შეგიტყოთ. ამ ღამეებში გიყავით, რომ ქალების სასწავლებელში მივედი, მაგრამ აი გადავე უბედურება. აქაც მოჩენილან სწავლას და გა-სათხოვარი ქალები მხარისხის სახით, მდიმარის თვა-ლებით, საამუშის ხარხართ, ერთ ხელში წიგნებით და მეორე ხელში შლანბების ჭერით გამოდიან სასწავლე-ბელადგან. მე მანინტ არ დაგიშლე და შეველ სასწავლებე-ლის კარიდარში. ერთი ვნახე ქალების წრიდამ გამოქ-ნებულა წამოვიდა ჩემსკენ ხანში შესული, მაგრამ ცქრაადა და მალხაში კაცი და პოლშუჩათ რაღაც დამიძახა. ერთის წამის შემდეგ ეს კაცი ჩემ წინ დაეჭრა. ნემეტურს ენაზე პტეელ-პტეელათ აუხსენი ჩვენი განზრახვა და რადესაც გუთხარა ჩვენი ვინაობაც, ხანში შესულმა კაცმა გამო-მიცხადა, რომ ის სიამოვნებით ახსრულებს ჩვენ თხო-ნას და გავკვირვებ წინ. დაწვრილებით ვერეთ გლასები გვანახებ, მერე ბიბლიოთეკა, ფინიკური და მინერალო-გიური ოთახები მასწავლებლების სასოგადო მოხდენილი ოთახი, აგრეთვე შეგიძლება სათამაშო დიდი ოთახი, ბოლოს სამუშაო ოთახი. ყველა ეს ქ-ლისსამუშაო იყო ჩემთვის. სასწავლებელს ხათლად ეტყო-ბოდა, რომ ცდილობენ ჩვენის დროის პედაგოგიის ყველა მოთხოვნილებანი, რამდენათაც შესაძლოა, დაავაყოფი-ლონ. რადესაც ყველაფერი გადავთვარიელებ, მივმართე მარდს და თავის საქმეში დახელოვნებულს დირექტორს, უფ. იაბლონსკის ზოგიერთის კითხვებით. თქვენ ვერ წარ-მოიდგენთ, თუ რა სიამოვნებით უფრს მიგდებდა და თითო-ეულს კითხვასაც რა გარკვეულს პასუხს მამდეგდა. მხოლოდ ერთმა ჩემმა კითხვამ რეგორღაც გააოცა, აი ეს კითხვა: ერთი მიბძანეთ—მეცნიერებს ამ თქვენს სასწავლებელში რომელ ენაზე ასწავლიათ. რა? მითხრა და კატა ხანს გახუმდა. მაშინ მე იმის პირისხეზე წავიგითხე: რა ვქნა ეს კაცი რას მკითხავს! თუ მე ვერ გავიგე ამისი კითხვა?! რამდენიმე ხნის შემდეგ, მიხასუსა: მე თქვენი კითხვა არ მესმის. ვთხოვთ გაბოქროთ. მე რაც ძალა და ღონე მქონდა, მოვიფიქრე, რიგისათ დავაწყო ნემეტურს ენაზე სიტყვები და გადავ განუთქარე ჩემი აზრი. ,,მე რა სა-

კითხვია, მიხასუსა მან, რადესაც თქვენ სანჯავთ პოლ-შუჩის სასტატო სემინარის. რასაკვირველია პოლშუჩს ენაზე ვასწავლიათ ყველაფერს. რაც შეეხება ნემეტურსა-ენის სწავლას, ამანაც ისევე ვსწავთ, რაც პარველმა დი-რექტორმა. სხვა ჩემს კითხვებზე მივიღე ამ გვარა პასუ-ხები: ექვსი წელიწადია, რაც ეს სემინარია არსებობს და ამ უმართ 190 უმწვილი ქალი სწავლობს. სულ რვა გლა-სია; ოთხი მათგანი უფროს გლასებთ ითვლება, ოთხი კადრე დაბალ გლასებთ. ამ დაბალ გლასებში პირველის გლასის შეგიძლება აქვეყნ გამოხსნდელს გავკეთილებს და გამოცდილ მასწავლებლების გავკეთილებზე დარიბ-ბიან. ყველანი ძრეულ ბეჭითნი არიან და სიამოვნებთაც მდიან სოფლის მასწავლებლათ. ჩემის ნაწარბის დასაკმა-ყოფილებათ, თუძე გი მეთაილებოდა მკითხნა, გავ-ბედე და ვკითხე: ვაყბის სამასწავლებელ სემინარის დირექტორი რომ პოლშელია? რასაკვირველია პოლშელია ბუნებითი და იმის გვარი არის ტვაროკ, მამიგო ფაცხლავ დირექტორმა. ამ დროს მე ჩემს ნაცნობს შევხედე, რომლის სახეც თითქო ამას ამბობდა: რა ვქნა, ეს სადა ვარ? ბოლოს დიდი გუფითადი მადლობა გადავუხადე უფ. დირექტორს და გადავაც ვთხოვე რჩევა, თუ რომელი სოფლის სასწავლებელი მენახა. იმან მირჩია სიხლოვისა გამოლოზის სასწავლებელი, სადაც სადილის შემდეგ თავი ამოგვავი და იქ მასწავლებელს და ერთ გასათხოვარ ქალს ველამარკებოდი. დიდი გაჭირბული ღამეა გეჭინდა მე და ამ მასწავლებელს, ეს ნემეტურს ჩემსა უხიროთ ღამეაგობდა და პოლშუჩის ენისა გი მე არი ვიცოდი რა. რაც შეეხება ქალს ამან ხომ ერთი სიტყვაც არ იცოდანემეტურს ენაზე. მასწავლებელმა ვაი-გვლასით ამხსნა, რომ მე სხვა შეოლის მასწავლებელი ვარო და ამ შეოლის მასწავლებელი გი ეს ეს არის გრაგოვი წავიდაო. ამ ღამეებში რომ ვიყავით, გასათხოვარმა ქალმა პოლ-შუჩათ რაღაც უთხრა მასწავლებელს; ამან ბოდიში მო-ითხოვა ჩემთან და ცოტა ხნობით მეორე ოთახში გა-ვიდა. რამ წამს უჯან დაბრუნდა, მაშინვე რეგორღ იყო, მკითხა ჩემი ვინაობა. სახეზე ჩათლად ეტყობოდა, რომ დავრეგებინათ მეორე სახლში, რომ გავგო თუ ვინა ვარ მე. რასაკვირველია, მე აუხსენი ჩემი ვინაობა და განზრახვაც. ცოტა-ხნის სიჩუის შემდეგ, დაწვრილებით გამოგ-ვითხე ამ უმწვილს, რეგორღ სასწავლებელის, ისე მასწავ-ლებელის მდგომარეობა. აი რა შეგიტყვა: დიდი ხანი არ არის თურბე, რაც ლობეს სასწავლებელი არსებობს და

ითვლება ერთ კლასიან სასწავლებლათ. მოწაფენი ამ კლასში უნდა დარჩნენ სოფელ ექვს წელიწადს. ამ ყმათ აქ სწავლებას 50 მოწაფე, ამითი ოც-და-ათი ვაჟი და ოცი ქალი. სასწავლებელს რამდენიმე განყოფილება აქვს და სასწავლებლათ დანიშნულია: საღმრთო სჯული, წიგნ-კითხვა, ზოღმუჭი ენა, არითმეტიკა, სხვა და სხვა ცნობები ბუნების მეტყველებიდან; შესანიშნავი ისტორიული მოთხრობები უფრო ზოღმის ისტორიიდან; სამშობლო გეოგრაფია და საზოგადო ცნობა მთელს ქვეყნის გეოგრაფიიდან, კალმახი და სიტყვა. უველა ამას ასწავლიან ზოღმუჭს ენაზე. სასწავლებელის სახლი არ არის კვარანი, თუმცა კი დიდა ოთახია, სკამები სულ უბრ ჯა და არც ზურგის მსახურებელი აქვთ. სამასწავლებლო მასალები გვარანია; უფრო შესანიშნავი კრავის გემს (ზღანი) და სამშობლოს რუკა. ასე განიხვეთ, კარგი მოზღა და „გლაზუსინ“ კი აქვს ამ სოფლის სასწავლებელს. მასწავლებელი არის აქ უფ. დომბროვსკა, რომელსაც სალსტატო სემინარია აქვს გათავებულა. თუმცა ესეც ძრეულ სუსტათ ღამანკანს ნემტრულს. ჯამაგირათ აქვს 300 გულდენი. გარდა ამისა, სოფლისგან აქვს საღვამი სახლი და საკმაოთ შუმა. როგორც ბავოვი ჩემის მემუსაიფესგან ზოგაერთს სოფლებში ორ-სამ კლასიანი სასწავლებლებია და ამ სასწავლებლებს ორ-ორი და სამ-სამი მასწავლებელია ჰყავთ. ძრეულ მინდოდა ერთი ამ სასწავლებელთაგანც მენასა, მაგრამ ვეღარ მოკახტეს და ითულებულა ვიევი მასწავლებელს და ზოღმელს ქალს, რომელიც სულ ჩვენთან ტრიალებდა და ხანდისხან მასწავლებლის შემწეობით საჭირო ცნობებს იძლეოდა, გამოვთხოვობდი და დაკბრუებულავივ კრავოში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საში სასწავლებლის გაკვრით აღწერა უფრო კიდევ ნათლად დანახებდა მკითხველს, რომ როგორც კრავოში და იმის მზრდაში, ისეც გაღიცაში სასწავლებლებს აქვთ სრულყოფით ნაცნაღური ხასიათი და ამ გვარი მათი ხასიათი უმესამემა მოხსენებულის მზრების ზოღიტიკურ მოწეობილებს.



კონ არ იცის, რომ წამატება, როგორც სასწავლებლების საქმესა, ისე თვით გამგებლობასა, არ ს დატვირთული საზოგადო აზრზე, რომ საზოგადო აზრმა

უნდა უზენაეს როგორც სასწავლებლებს, ისე გამგებლობას—თვით-მმართველობას ჯეროვანი გზა და სეგანი. მხლოდ ეს საზოგადო აზრი ისტება გაყოთ-უფრანღში ანუ თანამედროვე მწელობაში. თუ ეს ასეა, მაშ მოკახსენიოთ, თუ რა გაზრებები გემოდის მოხსენებულ მზრებში: კრავოში: „ხრამ“, „დიველ“, „ხსა“; ლემბერგში: „დენეჩიკ ზოღსკა“ „გაზრეტადივოსკა“, „შეუტე“ და სხვა კიდევ ზატარა გაზრებები. აი ამითი ისტება აქაური სლავიანების საზოგადო აზრია. რასაკვირველია, მკითხველი მოელის ჩემგან გარდაცვლ მას მოკლოთ ის, თუ რა მიმართულებსა თითოეული ჩემგან დასახელებული გაზრეტი, მაგრამ ჩემდა სამწუნსართ უნდა ვაღიარო, რომ მე არა მქონდა დრო ეს გაზრებები დასლყოფით გამტრეო. აქ მხლოთ ის შემოდინ კვსთქვა, რომ უველა მოხსენებული გაზრებები ფხიზლათ დამტკეღინი არიან თავიანთ ხალხის უფლებებისა და ცდილობენ ხალხის წამატებაში წინ წაყვანას.



ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვით ხალხის მუშაკობაზე და ნაწმრეობაზეც. როგორც ზემოთ შეენიშნე, კრავოვის მზრდას და გაღიცას აქვს კარგი გეოგრაფიული მდებარება და ნოყიერი მიწა. მცხოვრებლებიც შრომაში არავის ხამოტხებიან. უწინდელ დროში, როცა აქაურ სლავიანებს ქარი უჭრდათ და შეადგენდენ ზოღიტიკურ განსაკუთრებით „ორგანიზმს“ და არავისე დამოკიდებულ სასემწეოს, ამითი ყოველგვარი ნაწმრეობი: ზური, მარლი, საქონელი, აკრევე ნაქსოვი და ქარხნებში მომზადებული მარედი ახლო-მანლო სასემწეოებში გაღიდა და კარგი ფასიც ჰქონდა. ესლაც ესხინ ერთ უშეკლებელს შენობას კრავოში „სუგონიცა“ საღვ მარედის დადი ქარხანა ყოფილა. მაგრამ ამ ყმათ კი მოხსენებული მხარეები სრულყოფით სხვა სურათებს წამოგვიდგენს. ის ადგილები, საღვ აურებელი მარლია, კეთების ავსტრიის მთავრობას; ხენ-თესვას იმოდენც მიზდევენ, რამოდენათც საჭირთა თვითონ სლავიანებისათვის და ამისათვის მუწუნებას ნამდვილი ვჭრული ხასიათი არა აქვს. რაც შეეება ქარხანებს, ამაზე მათი უყარდავით არიან აქაურები. აქაურ მღაზიებში თითქმის ვერაფერს ვერ ნახვთ კრავოვის და გაღიცის ქარხნებში შემუშავებულს. ამ ორი წლის წინეთ კრავოვის დასლყოფით ორი შაქრის ქარხანა ყოფილა და

ესლ მარტო ერთი-ღას და ესეც ვაი-ვაკლანით აჩუ-
ბობს. რა არის ამ გვარის მოკლენების მიზეზი? იკით-
ხავს მკითხველი. მეთქვამეთ საუკუნე უბედური საუკუნე
იყო ზოლშელებისათვის. შანაუტმა უწესურებამ გადააჭარ-
ბა აქ ყოველს წესს და ამასთანავე შემოვიხედავს
თავადი თვისივით ეტიკათ რომ რა არი რაგორამე ხელ-
ში ჩაკვდით მათი ქვეყანა და ერთმანეთში გაენაწილე-
ბანათ. ეს ასეც მოხდა მოხსენებულ საუკუნეში. ამ
დროდგან ზოლშელების ყურადღება იყო მიქცეული იმა-
ზე, თუ როგორ დაებრუნებინათ თავიანთი ზოლიტიკუ-
რი სიფრცხლე და, რასაკვირველია, ივინი ყოველივე დო-
ნისიკობას ხმარობდნენ ამ საქმეზე. ვიღას აგონდებოდა
მუშაობა და ქარხანების განკარგება. ვისაც უჭუაოდა რამე,
ესლას საზოგადო საქმისათვის უნდა მოეხმარებინა. აი
როგორ ამ მდგომარეობაში იყვნენ მოხსენებულის მახრ-
ვის სლავიანები, ნემცების ქარხანებმა ძირეულ მოამატეს
და წარმოებამ დიდი საბიჯი წასდგა წინ. ნენცებას ნა-
წარმოებმა საზოგადო ბაზარში მთელ გერმანიაში და
ახლო-მასლო ადგილებში დაიჭირა უზირატესობა და
ზოლშელების წარმოება სრულებით დაეცა. დაუმეტო ამ
გარემოებას ისიც, რომ გრაგოვის და გალიციის მცხოვ-
რებლების ნაწარმოები ვერც რუსეთში ვერცაგანს ადგილს
დაიჭირდა. ეს ამისთვის, რომ რუსეთის ზოლშეშია უფრო
დაჩნა წარმოება და რადგანაც ქარხანები ძველა საქმე არ
იყო რუსეთში, ამისთვის ზოლშელები წითამდნენ და
უფრო ხელი ჩაავლეს ქარხნებს უკანასკნელ დროს. ამით
ნაწარმოებს, რასაკვირველია, უფრო ბევრი მსიფიდეელი
ეყოლებოდა, მინამ კრავოველების და გალიციელების ნა-
წარმოებს. ესენი უბაყოთ ავრცელებდნენ თავიანთ საქო-
ნელს რუსეთში; კრავოველებს და გალიციელებს გი ამის
ნებას აჩავინ მისცემდა. ყველა ეს მიზეზები მგონი საკ-
მაო იყო, რომ გრაგოვის მახრასში და გალიციაში წარ-
მოებაზე შენახულიყო წარმოდგენა მსოფლიო ხალხის
გონებაში.

რასაკვირველია, უნდა მოკვლადეთ, რომ მომავალ-
ში ის საზოლიტიკო განათლებითი მდგომარეობა, რო-
ელშიაც ესლას არიან კრავოვის მახრის და გალიციის
ქარებები, დაჭადავს მათში წარმოებას და გაჭნდის
თ ეკონომიურის მსრითაც თავისუფალ ხალხათ.

ამით ვათავებ გავკრიათ აღწერას ავსტრიის სლავი-
ნების ერთის ნაწილის მდგომარეობისას და თუ დროება
მექნება, იქნება ავსტრიის სხვა სლავიანების მდგომარეო-
ბაც გავცნო რემს მკითხველს, ვამბობ ავსტრიის, რო-
მელთანაც თუ ესლას არა, მომავალში მინც მოუხდება
რუსეთს განხეთქილება და ამ წერტილიდანაც გი საჭაროას
სლავიანების მდგომარეობის ცოდნა.

ქართველი მგზავრი.
(შემდეგი იქმნება.)

საზოლიტიკო მიმოხილვა

ბათუმის დაცლას რსმალოთა რსოვნიოთ ხელმოკრედ
გადიდვა 25-ს ავგისტომდე. ბათუმის მისაღებად კამი-
სიას დანიშნული სამის ზირისაგან. თავ-მჯდომარედ ლე-
ნერალ-ადიუტანტი გინაზი მიჩსკია ამ კამისისაში, რო-
მელიც ამ უამდე ქუთაისისა შიკრებილი. მრავალი სსკა და სსკა
სმები ისმის აჭარლებს დ და ქობულეთლებსედ, ამბობენ
კითომ ნებოთ არ დანებდებიან რუსებსაო და თუ იარა-
ლიო ვერა გაწყეს რაო, ან გადასახლდებიანო, ან ინგლი-
სის მივარველობის ქვეშ შესვლას გამოაცხადებენო. ძალიან
ადვილად სათუქრებელია, რომ რსმალი აჭარასა და ქო-
ბულეთში იმ საქმესეე უზმენ რუსებსა, რასაქმეც დაჭმარ-
თეს ავსტრიისა ჭერცოგოვინაში და ბოსნიისაში. ავსტრიამ
თუმიც ამ ქვეყნების დასაჭერად ჯარები გაგზავნა და
დიდი იმედიც ჭქანდა, რომ ნება-ყოფლობით დაჭნებდ-
ბოდნენ, მაგრამ ყველა ეს იმედები გაუტრუვდა და ესლას
თითქმის ყოველს ბიჯზედ ავსტრიის სისხლსა დგრის. ამ
ყოფას რსმალოთა ეშმაკობას აბრალებენ. ვინ იცის, იქ-
ნება ბათუმის რლქის დაჭერასთანაც ესევე ეშმაკობა იმ-
რონ რსმალებმა და საწყალ აჭარლებს და ქობულეთლებს
სისხლი უბრალოდ დაადგრევიონ. სასურველია, რომ ამ
ახლად შექნილის ქვეყნების შემოკრთება უსისხლოდ მოხ-
დეს და იმ შიორ-გამჭვრეტელობით, რომ სამაწოლისანი
მოთხოვნილება ერთისა თუ მეორის მხრისა დაკმაყოფი-
ლებულ იყოს და არა შეგინებულ. სათუქველი სიძვიდ-
რისა ესლავ უნდა დაიდვას, თორემ მერე გვიანდა იქმნე-
ბა. ერთხელ ნაწყენი და ნატყენი გული ხალხისა, მერე
იმისთანა თავ-მომწონესი როგორც აჭარლები და ქო-
ბულეთლები არიან, მერედ ძნელადდა მოიგება. ესლავ
უნდა იმის თუქრი, რომ წყენის მიზეზი მოისხოს და

საღვთის საბუთი ქუჩადეს ქსთქვას, ვანს გავგეგმინით და ვუის არ შეგვეტყინით.

ღმერთმა ქუჩასა რომ ეს სვე მოხდეს, და ჩვენი მძე- ბი პირველ დღედაც მტრებად არ გადაგვაქცენ.

აქამდე ბათუმის საქმის დასვლანჯას და აჭრელე- ბას ვითომ ინგლისელების გაძევებას ახრებდნენ და რმაღონიღ დიდის სინარულით ხელს უწყობდნენ ინგლისელებს. ამ უგანასხელს დროს ვა ინგლისის გა- ზეთებმა სულ სხვა კილოზე დაიწიეს გაღობა. კილოს შეტვლის მიზეზი ვერ ვეჩავის გამოუჩინა, თუმცა ვი- ლოს შეტვლას ვი ვეღა ხედავს. ვეღასვედ უფრო დიდის ხმის მქონი ინგლისელი გაზეთი „Times“ უქდაგებს რმაღონს, რომ ყოველი დონისძიება ინმაროს ბათუმის მშვიდობიანად და უსისხლოდ გადაცემისათვის და აფთხი- ლებს არა რამე არუფლობა არ მოხდენინო იქაურს საღ- სსაო. დეკვიმ-ფაშას, ტელეგრაფის სიტყვით, უთქვამს ვითომ ვინაზ მიხსენისთვის, რომ ჩვენ რმაღონი არამც თუ ვაქსებთ, დიდად ვუშლით ვიდევაო, რომ აქაურებ- მა არაფერი უნდა არ გასწიონო. ვინაზ მიხსენის უზა- სუნსია, ეგ მაშინ უფრო ცხადად დამტკიცებულ იქნებაო, თუ რაღა ხელს აჯანუღებო, თქვენ თქვენის ჯარით დაამ- შვიდებთო.

რ უ ს ე თ ი

4-ს აგვისტოს ცხრა საათზედ დილით შეტრებურ- გში შიგ შუა ქაღაში მოხდა საშინელი ამბავი, მოჭკვავს უანდარბების შეფი (უფროსი) დენერალ-ადიუტანტი მეზენ- ცოვი. აი ამის თაობაზედ რა ქსწერია Правительствен- ный Вѣстник-ში: 4-ს აგვისტოს 9-ს საათზედ დენერალ- ადიუტანტი მეზენცოვი ჩვეულებისამებრ გამოვიდა მისი- ლოვის მოედანზედ სასაირად. თან მოჭზდევდა სამსახუ- რიადამ გადამდგარი პოლკოვნიკი მაკაროვი. მისილოვის მოედნის და იტალიანსკის ქუჩის შესართბი, ვოჩკურა- ვის მადანის ახლო, ვუთხიდამ მოულოდნელად გამოვარდა: ვიდაცა ვმაწვილი ვაცი ლურჯის პალტოთი და სათვალე- ბით, მეზენცოვს მუცელში ატეკასანჯალი და გაიქცა დიდს იტალიანსკის ქუჩაზედ. უგან გაიოუღვა პოლკოვნიკი მა- კაროვი და ვიროდა: „დაიჭი, დაიჭი,“ იმდენად რაე- წია, რომ ქაღვაც ვი მოახვედრა მკვლელსა. იმავე წამს მკორე ვმაწვილი ვაცი რიგინად ჩხმული, ლურჯ პალ- ტოანი, შავის ჭგვალის შლიაპითა, შავ-უჯაშუბიანი დახდა მაკაროვს წინ და დაჭსცა რველურკი. ტუვი აჭსცდა და თაზედ გადაუარა. რამევე მკვლელი, რადგა-

ნაც ქუჩა უვარდო იყო, შეჭსტენ დროყაში, რომელშიც ება ძალიან ვარვი მარბენალი შავი ცხენი; ვუჩრად იჯდა ვმაწვილი ვაცი შავ-უჯაშუბიანი და უწვერული. ჩასდნენ თუ- რა პოლკოვნიკი-მომქმენი დროყაში, მაშინვე გაჭენეს ცხე- ნი დიდ სადლოვის ქუჩაზედ და თვალთავან მიეფარნენ. პოლკოვნიკი მაკაროვი ამაოდ ვვიროდა, დაიჭირეთ, დაი- ჭირეთ და რომ ვერა ვანდა რა, მოუბრუნდა დაჭრილს, რომელსაც ვოჩკურის პოვასნივეების ვითხვანზედ ვინ დაჭსტრესო, მიუგია: მე დამჭრესო და უჩვენებია თავისი სისხლში მოხვრილი ტანისამოსი. პოლკოვნიკს მაკაროვს და ამ დროს სახლიდამ გამოხულს ვამეკერეს პო- დისვოს უშველიათ და დენერალი მეზენცოვი მიუყვანიათ პატარა სადლოვის ქუჩის ვურემდე და აქ ფაეტონში ჩაუსვამთ. აქედამ დენერალი მეზენცოვი თავისის სახლამ- დი მისულა. სისხლის დენას ძალიან დაესუსტებინა. დოკ- ტორი მამონოვი თერთმეტს საათზედ მოხულიყო, ენა- ხა დაჭრილი და ეთქვა, რომ ძალიან მძიმედ არის დაჭ- რილიო. ეს ამბავი ძალიან მალე მოედო მთელს შეტრე- ბურგსა. ვაკვირებულ ი და ვაპოროტებულ ვრავასაღ- სისა დიდხანს არ დაშლილა იქიდამ, სხვა ეს ამბავი მოხ- და და სულ ამ საშინელს საქმეზედ ლაპარაკობდა. მამო- ნოვის მოხვლის უმაღ სხვა ექიმებიც მივიდნენ და რაც ვწამლებოდა ყოველივე უწამლეს დაჭრილსა, მაგრამ მე- ცადინებობამ უქმედ ჩაუარათ: დენერალ ადიუტანტი მე- ზენცოვი მექვსე საათზედ ოთხს აგვისტოს გადააგვალა.

მინისტრები, ელჩები სხვა და სხვა სისულწიფოე- ბისა და უზინატესნი დიდებულნი მაშინვე მოვიდნენ თა- ვისის გული-მტყინეულობის გამოსაცხადებლად. ვამო- ძიება დანიშნულა და ვამომძიების ზეღამსუდეველად დავე- ნებულა ვოჩკურაო სუდების პალატის დოპუსინი ამოებენ რომ დამნაშავეთა ვვალს ჩასდგომინო.

რადენიმე დღის წინად ერთს ვმაწვილს ვაცს დაუნახავს დემიდლოვის პაღში მეზენცოვი და იქ მდგომ პრისტა- ვისათვის უვითხავს: მეზენცოვი ეგ არის? პრისტავს უთქვამს ეგ არისო, მაგრამ ვმაწვილ ვაცს ვიდეე ვითხა: ეგ სწორედ დენერალ-ადიუტანტი მეზენცოვიო. პრის- ტავს ეპასუნსა: სწორედ ეგ არისო. პრისტავს ამ ვმაწ- ვილ-ვაცის ნიშნები აუწერია და ვისაც თვალი მოუვრავს მკვლელისათვის, ისინი ამოებენ, რომ პრისტავისაგან წვერილი ვმაწვილი ვაცი ჭკავს მკვლელსაო.

გაზეთი „Голосъ-ი“ ამოებს, რომ ჩვენ დარწმუნე- ბით ვვარდინებო, რომ ერთმა პირმა სუთი ათა- სი თუმანი წარადგინა საზინაშიო იმის საჩუქრად, ვინც მეზენცოვის მკვლელს წამოუდგენს მართლ-მსა- ჟულეპასაო.

სასანიდების სამეფო სახლი სპარსეთში და ქრისტეს აღსარება სომხეთში.

სომხის მეფის ვაჟარმაჰ პირველის ძის ხოსრო დიდის დროს (187—232 წ.) უკანასკნელის საქართველს არშავიდის ასოგურის მეფობაში სპარსეთში მოხდა ცვლილება. არშავიდები დაცნენ და იმათი ადგილი დაიჭირეს სასანიდებმა. ამ სამეფო სახლის ანუ დანასტიის დამოუკიდებელი იყო ატრქსეის ანუ არდაშირი, სპარსეთის მოგვით უფროსის ბაბუის შვილი და სასანის შვილის-შვილი. არდაშირი შეითვისა სპარსეთის სპასლარმა და შემდეგ იმის მოადგილედ დაჯდა. იტყვიან, ვითომც ერთხელ იმას ანგელოზმა ჩვენებაში უთხრა: „მოწყობის მომინებელს მოუნიჭებია შერთვის მელობელობა ხმელეთისა და იმის მცხოვრებთა.“ არდაშირმა განიხილა აღსრულებაში მოყვანა სიზმრისა. იმისმა მალაშმა მოსვლამ და სპარსეთის მეფის ატრბანის სისუსტემ შეუჩინებულს იმას ზღანის აღსრულება. სამს უკბოლაში 223 და 226 წელს არდაშირმა სრულებით დაიპყრო სპარსეთში შემოსული არშავიდის დინასტია, და დაიპყრო სპარსეთში სასანიდების სახლი¹. არშავიდები ჭელობდნენ სპარსეთს 482 წელს—256 წლიდან ქრისტეს მოსვლამდე ვიდრე 226 წლამდე ქრისტეს შემდეგ; სასანიდები მეფობდნენ 426 წელს. ისინი იუბდეურ მესამის მეფობაში, 652 წელს დასცა ომარ ხალიფის სპასლარმა სჯადმა². ამ დინასტიის თვისება და ცხოვრება დიდი შესანიშნავია: ზოგნი სასანიდნი არიან ცნობილნი სწავლა-ხელოვნებით. არდაშირი იყო განვითარებული მეცნიერი და მწერალი: იმან დასტავა სხვათსულებათ გარდა კანამე ანუ განმარტება თავის ცხოვრებისა და მოქმედებისა—და აგრეთვე წიგნი ზნეობაზე³. მეოთხე სასანიდი ბარამ პირველი იყო მეჯინობის მოყვარე და პირუტყვთ ექიმობაში დახლოვებუ-

ლი¹. ხოსრო ნუშირვანმა მეექვსე საუკუნეში გამოაცხადა მეორედ არდაშირის თსულება ზნეობაზე²; იმის დროსკმ გავრცელდა სპარსეთში ინდოეთიდან შემოტანილი, სასწავრიტულ ენაზე შედგენილი, ზღაპართ-ვრება ქალელაჭ-გმ დიმნაჭ, ანუ ჩვენებურად ქილილა—ღამანა, გადაღებული მრავალ აზიურს და ევროპიულს ენაზე და თვით ქართულად ნათარგმნი ჯერ თამარ დედოფლის დროს და შემდეგ ვანტანგ მეექვსისგან და საბა ორბელიანისგან³. სასანიდები განითქვნენ არხიტექტურის ნაწარმოებით: იმათი დედა-ქალაქი მადანი, კტუზიფონის მასლობლად და კტუზიფონის არემარე, ბუნებით შემკულ მხარეში, ეჭრატის ვიდეებზე, მოყენილი იყო გასაოცარის ძეგლებით. აქ იულიანე იმპერატორის გალაშქრების დროს სპარსეთზე რომაელებმა ანუ ვიზანტიელებმა ჭბოვეს ტურთად ბეჭმულის სკულპტურით შემოსილი შენობები, ვრცელი მტილები და დიდ-მშვენიერი პარკები, სადაც შემწვედუენი იუენენ ღომები, დათვები და სხვა და სხვა მრავალგვარი მძინავარე მხეცები და სადაც დროითი დრომდე სასანიდები ნადირობით ჭსიამოვნებდნენ⁴. ამ გვარმა სწავლა-ხელოვნების სიყვარულმა კერ მოარბილა იმათი მხეცური ბუნება. თითქმის მთელის დინასტიის სასიათი განსხვავდებოდა სისხლის ღვრით, როგორც შინათ, აგრეთვე გარეთ. ხშირად მოხდებოდა, რომ შვილი ავიდოდა ტახტზე მამის სიკვდილით შესისხლული. ეს იყო მიზეზი, რომ ოც-და-თხუთმეტს სასანიდების წევრთ რიცხვში ხანგრძლივ მეფობდნენ მხოლოდ შკადნი, ესე იგი,—შაბური პირველი, შაბური მეორე, აუბდეჯურდი პირველი, ჭორმუზდი, თეროზი, ჭორმუზდი მესამე, ხოსრო მეორე და უკანასკნელი სასანიდების წარმომადგენელი იუბდეჯურდი მესამე. სასანიდები გულმხურვალედ ემონავებოდნენ იმათის წინაპრის დროდამკმ ზოროასტრის აღსარებას ანუ ცენტლის თაყვანისცემას, როგორც ამას გვიმეწმებს, სხვათა შორის, სასანიდების მანეთები, რომლებზედაც გამოსტულია ამ სარწმუნოების სიმკოლი (pyrée) და იმის თაყვანის-მცემ-

¹ Notice chronologique de la Perse, depuis les temps les plus recullés jusqu' a ce jour L. Lanqlés: Voyage de Chevalier Chardin en Perse et autres lieux del' Orient. Paris 1811, t. x, p. 172—173. Lebeau, Hist. du B—Emp. I, 77.

² Mém. sur l' Arm. I, 335.

³ Notice chron... p. 173.

¹ Ibid p. 174.

² Ibid p. 173.

³ Ibid. p. 179 Hist. de la Géor. I, 393 n.

³, II, 2 livr., p. 112 n. 2.

⁴ Lebeau, Hist. du B—Emp. III, 103—106.

ընթացումը և ծագումը՝ և Երվանդ 1-ինի դարձումը թագավորի և Մանուկ Աբեղյանի կողմից իրենց հակառակորդը հռչակելու ժամանակը և մտային վարքի մասին։
 1. Վերջինս իր ժամանակում արժանի և հարգված էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 2. Երվանդ 1-ինի ժամանակը իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 3. Երվանդ 1-ինի ժամանակը իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։

Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։

1 Brusset. *Revue de numismatique géorgienne*, 1847. SPB p 28 -29,
 2 Lebeau, *Hist. du B—Emp.* III, 294 n. 2.
 3 *Ibid* I, 331 n 1, 332. III, 363—366. *Addit et 'Eclaircis. a l' Hist. de la Géor.* 67 et suiv.
 4 Lebeau, *Hist du B—Emp.* IV, 429—432.

արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։

Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։
 Իր ժամանակում արժանի էր իր հայրենիքում և արևմտյան երկրներում։

1 Моисей Хоронс, *История Армении*, 139. 140
 2 *Mém. sur. I, Arm. I*, p. 301—

მცხოვრებთ შემწეობით და აგრეთვე შემდეგ სომხეთის გუბერნიის საგუბერნიის მიმხრობით. სპარსეთის მეფემ სომხეთი ისევ ხელში ჩაიგდო. ტირდატი გამოვიდა რომიდან, რომელებს ჯარით მხლებული შევიდა სომხეთში, განდევნა სპარსნი და მამიკონის ხელით ალტან საგუბერნიანთ გუბერნი და იმისი ვრცელი სამთავროდელი თვით მამიკონს უბოძა. ტირდატიმ გაიმარჯვა დიდ რაში უხრდილ-ტომებზე და ისინი ისევ კავკასის იქით გადაიხრეს. ამ რაში მთავარ ანტაკი მანტაგუნი. შემდეგ ამის დაეცნენ სპარსეთს — დარბუგანის მხრით ტირდატი, სამხრეთით — რომელები. ტირდატი შევიდა თვით სპარსეთის შუა-გუბერნი, რომდენჯერმე დამარცხა სპარსნი და უგუიქცა დიდის ნატყვენავით ¹.

ისტორია მიაწევს ტირდატ მეფეს ზოგიერთ ცვლილებას სომხეთის შინაგან განმეგობაში. ტირდატიმ დაამყარა აქ სასულმწიფო წესდება საბერძნეთის მიხედვით; იმან დასდო რიგი სხდომისა მთავართათვის, მარჯვნივ და მარცხნივ, თვითმეფის ღირსებისამებ; დასდო აგრეთვე რიგი ჯდომისა და მუთაქებისა ნადიმობის დროს 400 თავადთათვის, რომელთ შორისაც უზირატესობდნენ: ბდეში გუბერნიისა და მთავარნი ანტონიისა, სიუნისა და მამიკონები. ესენი იყვნენ სომხეთის უადმატებულენი თავადნი. რაიც შეეხება მხარეს და მის სპათ, მთელსა-მეფოში მხოლოდ რთინი იყვნენ უახლესნი მეფის ბძინების აღმასრულებელი: აღმოსავლეთით სიუნის მთავარი 22 თავადითურთ; ჩრდილოეთით — ბდეში გუბერნიისა 21 თავადითურთ; სამხრეთით მთავარი ანტონიისა 22 თავადითურთ ².» ტირდატის მეფობა უფრო იმითა შესანიშნავი, რომ იმის დროს სომხეთში დაფუძნდა ქრისტიან საწმინდოება. უწინ აქ, როგორც უკვლავ განვრცოლებული იყო კერძო-თავადის — ტყე. რა გუბერნი იყო ეს საწმინდოება, რა დეკრეტებს სტამდნენ აქ თავადის ეს ჩვენ ზემოდ მოვიხსენიეთ. სომხის ისტორიის განვითარებით მცოდნე სენ-მარტენს შეუნიშნავს, რომ როგორც ამას ეკსევი მოიხსენებს, ვიდრე იმპერატორი კოსტანტინე ქრისტეს აღსარებას მიიღებდა, ქრისტიანობა გავრცელებული იყო სომხეთში, რომ სომხეთი შეადგენს იმ მხარეს, სადაც სხარება სხვა მხარეებ-

¹ Mém. sur l' Arm. I, 303 — 305, 412. Монархия Хр. Ист. Арм., 143 — 151.
² Hist. de la Siounie, I, 15.

ზე ადრე დამყარებულა ¹. მართლაც და სომხურის წყაროების მოწმობით, აქ პირველად იწმინდეს ქრისტიანობა, თადეოს მხარებელის ქადაგებით, მცხოვრისავე თანამედროემ ედესის მეფემ აგარმა და ედესის სომხებს; მასუგან ნათელ-იღეს ბართლომე მოციქულის ხელით სიუნელებმა და აღვანელებმა ². ისინი უჩვენებენ აქ ადგილ-ადგილ პირველ-დროდამდე იქლესიებს, უდაბნოებს და ეზისკობოებს, რომელნიც სხელ სამყურებს განაგებდნენ. შემდეგ, როდესაც აგარ მეფის შტო აღმოიფხვრა, სომხეთში ქრისტიანობა შემცირდა და შესუსტდა ვიდრე ტირდატ მეფემდე. ტირდატი მთავრად გრიგოლ-განმანათლებელმა. ტირდატის მიხედვით ნათელი მომატებულმა უმთავრესთ პირთ ნაწილმა და თვით ხელმძღვ. პირველი მასწავლებელი სომხეთისა გრიგოლ შეიქმნა პირველ სომხეთის ეპისკოპოსად, რომელმაც მიიღო ხელ-დასხმა განმანათლის კესარიაში, სადაც თვით იმისნი მოადგილენი მიიღებდნენ ამ ხელ — დასხმას, რის საუგუნის განმავლობაში. იმან მოიწვია მთავარი მოძღვარნი ბერძენთა და სირიელთაგანნი, და იმთის შემწეობით დაფუძნა საეპისკოპოსო კათედრები, მონასტრები და ეკლესიები და მოჭინა სხელი მტნება მთელს სომხეთის სივრცეზე. უმეტესეული საქმეა, იტყვის სენ-მარტენი, რომ ვიდრე ქრისტიანობა გავრცელებულა სომხეთში, სასტიკი ბძოლას უნდა ატყხილიყო აქ, მეტადრე დარწმუნის მხარეში, სადაც მოფენილი იყო წარმატო ტაძრები. აქ კერძო თავადის-მტყმელთ მკვლელებმა დიდი წინააღმდეგობა აღმოაჩინეს, ასე, რომ საჭიროებამ მოითხოვა მანვილის მოხმარება იმათ განდევნისათვის. შემდეგ ქრისტეს სჯულის მიღებისა კოსტანტინესაგან და იმის გავრცელებისა რომის იმპერიაში ძველი კავშირი სომხეთისა რომთან უფრო დამტკიცდა. მაგრამ ამასთანვე ამ შემთხვევამ მომატებულად აღძრა მტრობა სომხებთან სპარსეთის მეფეებში. ეს იყო მიზეზი, რომ სომხეთში ასტესეს იმათ შინაური საწმინდოებრივი შოფთი

³ Lebeau, Hist. de B—Emp. I, 76.
⁸ ალოვანელი ან სერაპონის ალოვანელი მეგობრობდნენ იგრიის მდინარეში მოყოლებული დროისთვის და მტკობის სამხრეთად. შემდეგ ალოვანელი მტკობის გარშემო გავრცელდნენ, ესე იგი უარაბლის გვერდის მხარეში, რომელსაც შეადგენდნენ სომხეთის მხარეები არცაბი, უტი და უაბოკარანი. სიუნი მდებარეობდა გოქსეს, არაქსის და ალოვანის შორის (Hist. de la Siounie, I, 8 n. 1).

და განხეთქილობა. ამ საქმეში იმათ შემწევობას აღკვედნენ
სომხის თავადნი, რომელთაც არ ისურვებს მამა-პაპურის
აღსაწებობის უარის-ყოფა და რომელნიც თავიანთ მუფუებს
მძიურდნენ, როგორც სჯულის მოღვაწეებს¹.

რა ცნობანიც ამ დროს სპარსეთს და სომხებს შეე-
ხებინ, მოყვანილნი არიან ქართლის-ცხოვრებაში. ის
უჩვენებს თვით იმათ წყაროებს: სპარსეთის ცხოვრებას²,
და სომხეთის ცხოვრებას³, საიდანაც ზოგიერთი შემთ-
ხვევა თითქმის სიტყვა-სიტყვით არის გამოწერილი⁴.
თვით ბერძნულის წყაროდანაც უსარგებლია ჩვენ მატია-
ნეს⁵. ამას ამტკიცებს ზოგიერთი სახელ-წოდება ბერძ-
ნულის ფორმით, მაგ. კოსაროს⁶, რომელიც ყოველთვის
ასეა სპარსულში⁷. ამ უძველესი სწორი აღგავსა ქართლის-
ცხოვრებაში მეტად არეულაა. მიჩიანის წინა-მოადგილე
ასფაგური, რომლის დროსაც, იმის თქმით, არდაშირი
სასანიდი ჭეղადობა სპარსეთს, მეფობდა საქართველ-
ლოში 262 წლიდან—265-მდე, მაშინ როდესაც დაჭეშ-
მარიტებით ვინათ, რომ არდაშირი მეფობდა 226—235-
ამდე, მაშასადამე არდაშირი მოკვდა 26 წლით ადრე ას-
ფაგურის ტახტზე ასვლისა. მიჩიანი მეფობდა 265—
342-მდე. ამ დროს განმავლობაში მეფობდნენ: სპარსეთ-
ში—ჩვენს მეფე: არდაშირის შვილი შაბურ ზირველიდან
დაწყებით ვიდრე შაბურ მეორემდე; რომში—31 იმპე-
რატორი, იმათ რიცხვში კოსტანტინე დიდი და იმისი ძე
კონსტანტი; სომხეთში—ტირდატ 2, დირანი 2 და არშა-
გი 3. საკვირველია, რომ უცხო-ტომთ მატიანენი-მიჩიანის
იშვითად მოიხსენიებენ. სომხის მწერალი მოსე ხორენე-
ლი უჩვენებს იმას ტირდატის დროს. მოსეს თქმით,
იბერიის გამგე მიჭანის მოქცეულ იქნა ქრისტეს სჯულ-
ზე ნურეს ხელთ, და იყო ერთი ტირდატის ჯარის-უფ-
როსთაგანი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ტირდატის
ბრძოლაში „ჩრდილო-ტომებთან“⁸ რომის მწერალი ამ-
იანი მარცვლანი ამბობს: როდესაც იმპერატორი კოს-
ტანსი საომრად ემზადებოდა სპარსეთთან, მაშინ იმან
უხვის საჩუქრით მოსთხოვა მონაწილეობის მიღება ამ
ომში სომხის მეფეს არსასს და იბერიის მეფეს მერ-

ბანეს. ეს იყო 361 წელს, მაშინ როდესაც ქართლის-
ცხოვრებით საქართველოს ჭეղადობა მიჩიანის შვილი
ბაქარ ზირველი¹. ქართლის-ცხოვრების ნაამბობი უცხო-
ტომთ ნაამბობს ზოგში ეთანხმება, ზოგში არა. ზირველ
სასანიდს არდაშირს ის უწოდეს ქასრედ და ამ სახელით
სახელ-სდებს „იმის ძილამ“ მიჩიანიდან დაწყებითი, მთელს
საქართველოს დინასტიას ხოსროიანებად ანუ ხოსრო-
იანებად². არდაშირს ქასრედ უცხო-ტომთ მწერალი არ
მოიხსენიებენ, მაგრამ ეს-კია, რომ სპარსეთის თქმულებას
ზოგიერთ სასანიდების დინასტიის წევრთ უწოდეს კეს-
რად³. ქართლის-ცხოვრებით ქართველების ასფაგური და
სომხების კოსაროსი ერთად ებრძვიან არდაშირს და ას-
ფაგური მოიწვევს ოსებს, ლეკებს და ხაზარებს, სდევ-
ნიან არდაშირს, შედიან სპარსეთში და აღსრულებენ სპარ-
სეთს⁴. შემდეგ ამისა, როდესაც „ხოსრო მეფე განმზა-
დებულ იყო კვლად შესვლად სპარსეთს, იმისმა ნათე-
ლავმა, წარჩინებულმა მთავარმა, სახელად ანაბ, ქასრესაგან
მოსუილულმა, და მამან მისმან მოკლეს მასგაღით ნა-
დილობის დროს მეფე და ივლტოდა; ხოლო დევნა
უყვეს მთავართა სომხთისათა და მოკლეს ივანი და მოს-
რეს ყოველი ნათესავი მათი, თვინიერ დაშთეს ორნი
შვილნი მათნი, რომელნიცა აღიხსენეს მამა-მშობელთა მათთა;
ერთი შეივლტოდა საზღვართა საბერძნეთისათა და მე-
რე საზღვართა სპარსეთისათა⁵. აქ მოხსენიებულია ანა-
გის იყო გრიგოლ განმანათლებელი. მოსე ხორენელის
სიტყვით ანაგს ჭეղადობა მხოლოდ ერთი შვილი გრიგო-
ლი, კესარიანში გუგანილი, ჩამიანის თქმით კი-ორი გრი-
გოლი და სურენი სპარსეთში განვლტოლილი⁶. კოსა-
როს სიგვდილის შემდეგ ქასრე სასანიანმა „ზირველად
დაიპყრა სომხითი, მოსრა და ტყვედ ყოფილი ნათესა-
ვი სომხთა მეფისა; ხოლო ერთი ძე კოსაროს მეფისა,
მცირე ყმა, შეივლტოდა საზღვართა საბერძნეთისათა და
მუნ იხრდებოდა, რომელსაც ერქვა ტრდათ, შემდეგ შე-
მოვიდა ქართლად. ხოლო ასფაგურს წარვიდა ოსეთს,
რათმცა მოიპატრონა სპარსი ოსეთით და განამცურნა ციხე-
ქალაქნი; მუნ ეწია სიგვდილი და აღესრულა“⁷.

¹ Hist. de la Siounie, I, 8—17. Mém sur l' Arm. I, 291 n. I., 306—307.
² ქართ.-ცხ. 57.
³ იქვე, 63.
⁴ იქვე, 58 Моис. Хор. Ист. Арм стр. 141. Hist. de la Geor. I, 94 n. I.
⁵ ქართ.-ცხ., 63.
⁶ ხოსრო სომხეთის მეფე.
⁷ Hist. de la Gédr. I, 79 n. 2.
⁸ История Армении, 151, 152. Hist. de la Géor. I, 88 n. 5.

¹ Hist. de la Géor. I, 134 n. 3. Leceau, Hist. du B—Emp. II, 353.
² ქართ.-ცხ. 57, 60.
³ Notice chronologique Langles. Voyage de Charden, x, 111, 183. Brosset, Revue numism. 17.
⁴ ქართ.-ცხ. 57.
⁵ ქართ.-ცხ. 58.
⁶ Моисей Хоренск, История Армении, 141. Hist. de la Géor. I. 82 n. 1.
⁷ ქართ.-ცხ. 58—59.

რამეთუ კაცი ვარ.

(შედეგ*)

II

იმ ხევ ზემოდამ, საცა წყარო მდინარებდა, პატარა ვაკე იყო, რომლის ბოლოსაც კლდის კედელი მოჩანდა.

როგორც ფოლადი ისე მაგარი სიბი-ქვა საძირკვლად ჰქონდა იმ კედელსა. იმის ქვემოდათით ბუნების შემოქმედობისაგან რგვლად გამოქვაბული იყო კლდე. როდესაც ამ ქვაბში ნადირს, ფოცხვერს და მგლებს უცხოვრიათ. ეხლა კი ახალგაზდა გერმანისა და მისის მამის სადგურად გადაქცეული იყო.

ბევრი ამისთანა ქვაბი იყო წმინდა მთაზედ და რომელიც ყველაზედ დიდრონი იყვნენ, ისინი ბერმონაზონებმა დაიჭირეს.

გერმანის მამის სტეფანეს ქვაბი მალალი იყო და გრძლად კლდეში შესული, მაგრამ მაინც ადგილი გამხმარის მთის ბალახისა, რომელიც მამისა და შეილის ქვეშ-საგებს შუა ეფინა, ძალიან პატარა იყო.

შუალამე გადასული იყო, მაგრამ არც ახალგაზდას და არც მოხუცს მცხოვრებს ქვაბისას, არ ეძინათ.

გერმანსი ხმამალა იყვნესოდა და მოუსვენრად ხან ერთს გვერდზედ გადაბრუნდება, ხან მეორეზედ და სულაც ყურადღებას არ აქცევდა თავის მამას, რომელიც ტკივილებისაგან დაქანცული იყო და ძილს ჰსაჭიროებდა. მამა კი გადაბრუნებასაც ერიდებოდა, რომ ხმაურობით შვილს ძილი არ დაუფთხოვო, როცა შვილს ეძინა.

რა დაჰმართვია ამ ჭაბუკს, რომელმაც ადრე ასეთი მაგარი ძილი იტოდა, რომ ძნელად თუ კაცი გამოაღვიძებდა? რამ დაუფთხო ძილი და მოსვენება? რათ არის ესე, ჰფიქრობდა სტეფანე: რომ უამისოდაც ღონიერს სიჭაბუკეს ეგრე მაგრად და ხანგრძლივ ჰძინავს ხოლმე და მოხუცი და სწეული კი, რომელთათვისაც ძილი და მოსვენება აგ-

რე საჭიროა, ძილი გაკრობილი აქეთ? იმისათვის ხომ არა, რომ ის მოკლე დღენი ცხოვრებისა, რომელიც მათ ჰმთენიათ, პატარა გძლად ეჩვენონ! ან ნეტა ამ უწმაწურ ცხოვრებას ყველანი ეგრე მაგრა რად ეჭიდებიან! რა რიგად ემალებიან ყველანი იმ ანგელოზს, რომელიც იწვევს ადამიანს საიქიოს და უღებს ოქროს კარებსა სამოთხისას. ყველანი ჩვენ ეგვეართ საულსა, იუდეველს, რომელიც იმალებოდა მაშინ, როცა მოციქულნი ეწვივნენ სახელმწიფო გვირგვინის მოსართმევად! უხ, წყლული საშინლადა მწვავეს! ერთი ყლაპი წყალი მაინც მამცა! ჩემს საწყალს ბავშვს რომ არ დაჰსძინებოდა, ვჰსთხოვდი წყალი მოეწოდებინა.“

სტეფანემ ყური თავისის შეილისაკენ მიჰმართა, მაგრამ არ გააღვიძა, როცა ცხადად გაარჩივა, მისი მძიმე და წყობილი ქშენა.

სიცივით ათროლებული შეეხვია ცხერის ტყავში, რომელიც ნახევრამდი ჰყოფნიდა მის ტანსა. ტანში დაუბრუნა ღამის მშრალმა სიცივემ, რომელიც შემოდოდა იმ გვირაბიდან, საილამაც დღისით პაპანაქება სიცხე უდაბნოსა შემოდოდა ხოლმე.

აგრე გაიარა რამოდენამე დრომ. ბოლოს მოხუცმა დაინახა, რომ გერმანსა წამოიწივა და ქვეშ-საგებზედ წამოჯდა. და მართლაც, გერმანსმა გაიღვიძა. რალაც ლაპარაკს მოჰყვა და ღეთის სახელი ახსენა.

მამა მიუბრუნდა შვილს და ნელის ხმით ჰკითხა:

— გაგღვიძა, ჩემო კარგო?

— მე ძილი არ მომივიდა, უპასუხა შვილმა.

— მაშ ერთი წყალი დამალევიწე, ჰსთხოვა სტეფანემ: დაჭრილი ადგილი საშინლად მეწვის.

გერმანსი მაშინვე წამოხტა და წვალებულს მიაწოდა წყალი ლიტრითა.

— მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო კარგო, უთხრა მოხუცმა და დაიწყო ხელის ფაცური, რომ ლიტრას პირი უპოვოს და რანახა, რომ ლიტრას პირი მოტეხილი აქვს, გაკვირვებით წამოიძახა:

— ეს ჭურჭელი რა ცივია და სველი! ეს ხომ თიხისაა, და ჩვენი კი გოგრისა იყო.

*) „ივერია“ № 31, 1878 წ.

— ჩვენი გავტეხე, ჩამოართვა სიტყვა გერმას-
მა: და ეს პავლეს გამოვართვი ნათხოვრათ.

— ჰო, ჰო, წაიდუღუნა სტეფანემ, და ხარბად
დაეწაფა ლიტრას, მერე ისევ შეიღს მიჰსცა, მოი-
ცადა, ვიდრე შეილი დაწვებოდა და როცა დაწვა
უთხრა:

— შენ ღღეს გვიანაც მოხვედი, გოგრა(ც) გაგტე-
ხია და ძილშიაც იკვნესოდი. ხომ ცუდი არა წაგ-
კიდებია რა.

— მე ჯოჯოხეთიდან გამოსულს ეშმაკს შევემ-
თხვიე, უპასუხა გერმასმა: და აი ეხლაც თვალ-წინ
მეფეთება და ჭკუასა და გონებას მირევს რაღაცე-
ბის მოლანდებითა და მოჩვენებითა.

— ლოცვით განაგდე იგი ბოროტი, უთხრა
გულ-მართლად სტეფანემ: ღვთის სახელზედ ბო-
როტნი სულნი განჰქრებიან.

— ღვთის სახელიც ვახსენე, ჰსთქვა გერმასმა:
მაგრამ არა მეშველა რა. მე მეღანდებიან დედა-
კაცები იაგუნდის ფერ ტუჩებითა და მშვენიერის
ნაწნავეებით, თვალ-წინ მიდგანან თეთრი როგორც
მარმარილო, მშვენიერნი ტანადნი ქალნი ცეცხ-
ლით საფსე თვალდებითა. სულ ხელს მიქნევენ და
თავისთან მეძახიან.

— აიღე მათრახი, უბრძანა მამამ; და სისხლი
დაიმშვიდე.

ხმა ამოუღებლივ წამოდგა გერმასი ხელმეო-
რედ ქვეშ-საგებილამ, აიღო მათრახი და გამოვიდა
გარედ. ქვაბის სივიწროვე დაუშლიდა მათრახის
თავისუფლად ხმარებას.

ბევრი ხანი არ გამოსულა, რომ სტეფანეს
მოესმა მათრახის წვერების შუილი. მას მოესმა კა-
ცის ტანზედ მათრახის ტყლაშუნი და მტკივნეული
კვნესა თავისის შეილისა.

ყოველს ტყლაშუნზედ მოხუცს მამას ჟრუან-
ტელი გაუფლიდა ხოლმე თითქო ამასა ჰსცემნო.
ბოლოს რაც შეეძლო ხმამაღლა დაუძახა შეილს:
«ამ ხანად ეგ სამყოფია, სამყოფი!»

გერმასი შემობრუნდა ქვაბში. მამამა და შეილ-
მა ერთად ილოცეს. მას მერმე მამამ ხელი გაღუ-
სა შეილს მშვენიერს თმაზედ და უთხრა:

— მას აქეთ, რაც აღექსანდრიაში იყავ, სულ
სხვა ხარ. ძალიან ვნანობ, რომ მე არ დაუფჯერე ვის-

კობოზს ალაპიტსა და შენ იქ წასვლის ნება მო-
კეცი! მაცხოვარი მალე მიმიხმობს მე სააქაოდან
და ჩემს შემდეგ არაფერი აღარ დაგაყენებს შენ
აქა. მაშინ შემოგადგება შენ მაცდური, შენ წინ
ველარ დაუდგები დიდის ქალაქის მრავალგვარს სი-
ტურფესა, რომელნიც ბრწყინვალეებენ როგორც
დამპალი ხე, როგორც ჭრელი გველი, როგორც
შხამით საფსე ყვაილი...

— არა, მე ეგენი ვერ მაცდუნებენ, ჩამოარ-
თვა სიტყვა გერმასმა: თაფ-ბრუ დამასხა, შემაშინა
მე იმ ხმაურობით საფსე ქალაქმა. მე ჩემს ღღეში
იქ არ წავალ.

— არა, შენ მართო სიტყვით ამბობს მაგასა,
უპასუხა სტეფანემ: მაინც შენმა იქ ყოფნამ სრუ-
ლიად შეგცვალა. რაიქმნა ეხლა შენი მხიარული
ლილინი და გალობა? როცა შენ ლილინებდი ანუ
იციინოდი, მე დარწმუნებული ვიყავ, რომ შენი ხმა
ღვთისათვის საამური იყო. მაგრამ ეხლა? ხმა ამოუ-
ღებლად, პირ-მქუშედ დადიხარ და თან გღვევენ
ცოდვილნი ფიქრნი და გაბოროტებულსავეთ იყუ-
რები.

— რა ვუყოთ! ყველა ეგ მე მანებს, სხვას
ხომ არა! მიუგო გერმასმა: ეხლა დამეხსენ, მამავ,
გამიშვი! საცაა გათენდება და მაშინ მთელი ღღე
წინ გედება, რომ მე დარიგება წამიკითხო.

სტეფანემ ამოიოხრა. გერმასი თავისის ქვეშ-
საგებისაკენ წავიდა. არც ერთს აღარ დაეძინა. ყო-
ველმა მათგანმა იცოდა, რომ მეორეს არა ჰსძი-
ნავს. ჯავრმა და კერპობამ შეიღს ენა დაუბა, მა-
მა კი ცდილობდა, მაგრამ ენაზედ არ მოსდიოდა
ტკბილი, გულსმისახვედრი სიტყვა.

ბოლოს გათენდა. მკრთალმა ნათელმა შემოა-
ნათა ქვაბის გვირაბიდან. ჰაბუკი მთქნარებით წა-
მოდგა ფეხზედ და რა დანახა მამა, თვალღია მწო-
ლარე, გულ-გრილად ჰკითხა:

— რაო, მე აქ დავრჩე, თუ ცისკარზედ წავე-
დე?

— აქ დარჩი, ერთად ვილოცოთ, უთხრა სტე-
ფანემ: ვინ იცის? დიდ-ხანს მერგება შემთან ყოფ-
ნა კიდევ, თუ არა! მე მომიხსლოვდა ის ღღე, რომ
მელსაც ჩემთვის საღამო აღარ ექმნება. მოდი, აქ
ჩემს ახლო მოიყარე მუხლი და მომეც ვემთხვიო
ჯვარცმასა.

გერმანსმა მამის ბძანება აასრულა და როცა გაათავეს სამღეთო გალობა და „ამინი“ ჰსთქვეს, მათს ხმას მესამე ხმაც ჩაემატა.

— პავლეე, დაიძახა მოხუცმა: დიდება მაცხოვარსა! აბა დაჭრილობა გამისინჯე. ისრის წვერი გარედ იწევს და ცეცხლს მიკიდებს სიმწვაფითა.

ახლად მოსულმა ბერ-მონაზონმა, რომელსაც სამოსელის მაგიერ ეცვა რალაც უბრალო მოუთვლავის შალის პერანგი და ცხვრის ტყავი, ყურადღებით გაუსინჯა სტეფანეს დაჭრილობა, რალაც ბალახები დაადვა და ამასთანაც რალაც ლოცვები წაბუტბუტა.

— ეხლა მე უფრო უკედა ვარ, ამოიხენეშა სტეფანემ: შენის კეთილობის გამო მეც მომხელა ღმერთმა,

— მე ვარ კეთილი? მე ვარ ჭურჭელი უწმინდურებისა! უპასუხა პავლემ თავისის ზარიანის ხმითა და მისი მიმზიდველი ცისფერი თვალები მიეპყრნენ ზეცასა, თითქო იმისათვისაო, რომ რასაც ჩემზედ ჰვიქრობენ, სულ ტყუილიაო. მერე თავის ჭალარა თმას ხელი გადუსვა, გადიყარა უკან, რადგანაც ყელსა და პირზედ ურიგოდ ჩამოშლოდნენ და პირ მღიშარედ წარმოჰსთქვა:

— ყოველი ადამიანი—ადამიანია და სხვა არაფერი. ზოგნი ადამიანობამდინაც ვერ მიადწევენ ზოლმე. ნოეს კილობანში მრავალი მხეცი იყო, მაგრამ ნოე კი ერთი იყო.

— ჩვენს პაწია კილობანში ჩვენი ნოე შენა ხარ, უთხრა მოხუცმა.

— მაშ ეს ახმახი ვაჭი-კაციც ჩვენი სპილო იქნება, გაიცინა პავლემ.

— არც შენა ხარ ქონდრის-კაცი, უპასუხა სტეფანემ.

— ვაი, რომ ეს ქვის კილობანი ასეთი დაბალია, თორემ ეხლავე ღონეში ერთმანეთს გამოეცლიდით. დიად, მე და გერმანს რომ იმოდენა ღვთის მოყვარება და სიწმინდე გექონდეს, რაც ტანი და ღონე გვაქვს, ჩვენ სამოთხის გასაღები ჯიბეში გვედებოდა. შენ, ჩემო ძამიავ, მგონი კარგად იგვემე წუხელ! მე ეგ მესმოდა. სწორედ ეგრეთ: ცუნდა! როცა ხორცი ტოკვას მოჰყვება, მაშინ საჭიროა გვემა და წამება მისი.

— გერმანსმა სულ კენესით გამოიარა ის გვემა და მერე ძილიც აღარ მიეკარა, ჰსთქვა სტეფანემ.

— ახია, ახი მაგისათვის! დაიძახა პავლემ და მუშტები მოუღერა ჭაბუკსა. ამ სიტყვებში უფრო ტყუილ-უბრალო მუქარა იყო, ვიდრე გაჯავრება. თუმცა მეტად აწოწვილი ბერ-მონაზონი პავლემკვანედ იყურებოდა ზოლმე თავის ცხვრის ტყავუჭიდამ, მაგრამ მის თვალსა და ხმაში იმოდენა სიღობო და სიტკობო გამოჰქროთოდა, რომ არავის ფიქრადაც არ მოუვიდოდა მისი გაჯავრება და გულზედ მოსვლა.

— ჯოჯოხეთის ავი სულნი შეემთხენენ საწყალსა, ჰსთქვა სტეფანემ შეილის გასამართლებლად: და მე კი თუნდ მაგას არ ეკენესა, მაინც თვალს ვერ მოვხუჭავდი, აი ეს ხუთი დღეა, რაც მე ძილი არა მაქვს.

— შეექვსე დღეს კი, სწორედ გითხრა, შენთვის ძილი საჭიროა, უპასუხა პავლემ: ტყავი წამოისხი გერმანს და ქვევით სოფელში ჩადი. სენატორს პეტრეს, ან იმის ცოლს დაროტეას ჰსთხოვე ერთი კარგი ძილის წამალი ჩვენის ავად-მყოფობისათვის. წადი რალა.

— ჯერ ცოტა კიდევ მოიცა, ცოტა კიდევ დაიძახა სტეფანემ: ერთი ახალი ლიტრაც მოიტანე, ჩემო კარგო, ქალაქიდამ. შენ ჩემო პავლემე, გუშინ შენი გვათხოვე და ეხლა მინდა....

— მე ეგ არც კი მახსოვდა, წაართვა სიტყვა პავლემ: მე ძალიან მადლობელი ვარ გერმანისა, რომ გოგრა გატეხა, იმიტომ-რომ მარტო ეხლა გავიგე ჯანმრთელმა კაცმა, წყალი როგორ უნდა სვას. ერთი ფუთი ოქროც რომ მამცეთ, ლიტრას უკან აღარ ავიღებ! წყალი მაშინ ყოფილა სარგო და გემრიელი, როცა პეშვითა სვამ. მე ეგ ლიტრა აღარ მინდა. მადლობა ღმერთს, ეხლა თოკიდამ გამოსული ქურდიც კი ველარას მომპარავს აი ამ ტყაპუჭის მეტს, იმიტომ რომ სხვა აღარა მბადია რა.

სტეფანემ მადლობა უთხრა პავლესა, და პავლემ კი ხელი მოჰკიდა გერმანს და ქვაბიდამ გარედ გამოიყვანა.

(შემდეგი იქნება)